№ 213
შაბათი, 8 ოქტომბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 213
შაბათი, 8 ოქტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

## დეპეშა

6 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის შესახებ. 5 ოქტომბერს, ღამის 11 საათზედ: „ხელმწიფე იმპერატორი უფრო ავად შეიქმნა; საზოგადო სისუსტემა და გულის სისუსტემ უმატა“. ბიულეტენს ხელი მოაწერეს: პროფესორმა ლეიდენმა, პროფესორმა ზახარინმა, ექიმმა-დოსტაქარმა გირშმა, ექიმმა პოპოვმა და კარის დოსტაქარმა ველიამინოვმა.

ოფიციალურად. პრინცესა ალისა ჰესენისა რუსულის ენის ცოდნის მხრივ თანდათან უკედ ვარჯიშდება; გასულ ზაფხულის განმავლობაში მისი უმაღლესობა გულ-მოდგინედა სცდილობდა შეესწავლა მართლ-მადიდებლის ეკკლესიის წესები; პრინცესსამ ჩინებულად დაასრულა სწავლა პროტოპრესვიტერის იანიშევის ხელმძღვანელობით, და ამიტომ იანიშევი ამ ჟამად უკვე მივიდა ლივადიაში, რათა შეუდგეს ხელმწიფის შვილების სამღრთო სჯულის სწავლებას.

შინაგან საქმეთა მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგს და შეუდგა თავისს თანამდებობის აღსრულებას.

**პარიზი.** პრეზიდენტმა პერიემ გაგზავნა პასტერის ინსტიტუტში 5,000 ფრანკი საფრანგეთის ექიმის რუს მიერ გამოგონილ ყელჭირვების წამლის გასავრცელებლად.

**კალკუტა.** ლაგორის ერთი გაზეთი იუწყება, ავღანის ემირი გარდაიცვალაო. ამ ამბავს გაზეთი მრავალს დაწვრილებით ამბავს დასძენს ემირის უკანასკნელ წამების შესახებ.

თავისს შვილს ჰაბილ-ულაჰს ემირმა უანდერძა, ინგლისის ერთგული იყავიო.

**ტაშკენტი.** დღეს აქ მოვიდა მეურნეობის მინისტრი, დაათვალიერა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა და რამდენსამე კაცს ჯილდო დაუნიშნა.

**ბერლინი.** ჰესენ-დარმშტატის დიდი დუკი თავისის მეუღლით დარმშტატიდგან პეტერბურგს წავიდა.

## ახალი ამბავი

*** მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ 7 ოქტომბერს, ღამის სამს საათზედ, ყარაიაზიდგან ტფილისის რკინის გზის სადგურზედ ჩამოიარა და აქედგან ბორჯომს წაბრძანდა.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან სამხედრო სამედიცინო ინსპექტორს ბ-ნს რემერტს, რომელიც ლივადიიდგან ჩამოვა აქ სამხედრო სამკურნალო დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

*** ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას სახლის პატრონებთა მიერ მიცემულ თხოვნების განსახილავად. სულ 40 თხოვნა იყო მიცემული უძრავ მამულების დასაფასებელი ფასის თავისს დროს შეუტანლობის მიერ დანიშნულ „ნედოიმკების“ ახსნის შესახებ. ამ 40 თხოვნიდგან 30 მთხოვნელს კომისიამ უარი გამოუცხადა და 10 სახლის პატრონების თხოვნაკი შეიწყნარა და განათავისუფლა „ნედოიმკების“ შეტანიდგან სულ 200 მან.

*** 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სამოსამართლო პალატაში იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გორემიკინის თავმჯდომარეობით მეორე კრება მოხდა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ამიერ კავკასიის გასამიჯვნელ დებულების განხილვა, რათა დაჩქარებულ იქმნას გამმიჯვნის საქმე და გაუმჯობესებულ იქმნას ტეხნიკური მხარე ამ საქმისა. ამ კრებაზედ სამოსამართლო უწყების წევრთა გარდა, მოწვეულნი იყვნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, მთავარ მართებლის კანცელარიის დირექტორი ბ-ნი მიცკევიჩი და მიწათ მოქმედების სამინისტროსი—იურისკონსულტი სარქისოვი და მისი თანაშემწე—ბუსლაევსკი, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეს თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი კოვაჩი და უფროსი რწმუნებული ბაქოს სახელმწიფო ქონებათა მმართველობისა ბ-ნი ეფიმოვი.

*** მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა ბ-ნ ფ. ქორიძისა და ბ-ნ ა. დუმბაძის მიერ ნოტებზედ გადაღებული შემდეგი ჰრელი საგალობელი: 1) „მზისა შემოქმედი“ 2) „მღვდელთა ხარ ბრწყინვალე“ 3) „ქრისტე აღსდგა“, 4) „რომელი ქერაბინთა“, 5) „და ვითარცა მეუფისა“. აგრეთვე ჩვეულებრივი საგალობელნი „მოვედით თაყვანი-ვცეთ“, „წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, „იხარებს სული შენი“ და «მომიხსენენ ჩვენ უფალო».

*** სოფ. მარტყოფი: აქ არსებობს ორი სასწავლებელი: საერო და საეკკლესიო. საეროში სწავლობს 90-მდის ქალი და ვაჟი, ხოლო საეკკლესიოში 25-მდე. საერო სასწავლებელსა ჰყავს: სალვთო სჯულის მასწავლებელი, თვით გამგე-მასწავლებელი და მისი თანაშემწე—ქალი-მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ქალებს აგრეთვე ხელ-საქმესაც. ამ სასწავლებელში სწავლის საქმე კარგად მიდის მასწავლებლის გულმოდგინეობით და ბეჯითობით; მასწავლებელი ბ-ნი სულხანიშვილი არ აკლებს ხოლმე აგრეთვე მოზრდილ თაობასაც კვირა-უქმეობით სასარგებლო წიგნების კითხვას, ზნეობრივს საუბარს და სწავლა-აღზრდის დარიგებას. ამ ბოლოს დროს სამოსწავლო მთავრობამ და ადმინისტრაციამ მიაქციეს ყურადღება და მოიწადინეს, რომ აქაური ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად გადაეკეთებინათ, სახელოსნო და სამეურნეო განყოფილებით, რომლისათვისაც მთავრობა ნივთიერად უნდა დახმარებოდა. საუკეთესო, ვრცელი და თავისუფალი ადგილი უკვე ამორჩეულია, ორ-სართულიან შენობისა საბადო და სავენახე ადგილით. რაც შეეხება სამრევლო სასწავლებელს, იმის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით, რადგანაც იგი სულ ცოტა ხნის დაარსებულია.

*** იქიდგანვე: სოფელს ამ ცოტა ხანში დაუნიშნეს წყლების უფროსად (მირაბად) თავადი ხიმშიაშვილი, რომელმაც უსასყიდლოდ იკისრა ეს თანამდებობა.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ, რომ სოფლის მასწავლებლები დიდს გაჭირვებაში არიან ჯამაგირს თავისდროზედ მიუღებლობისაგამო. მასწავლებლებს საერთოდ და კერძოთ სოფლისას დიდი მოვალეობა აწევთ კისერზედ. საწყალმა სოფ. მასწავლებელმა დღეში უნდა ხუთი-ექვსი გაკვეთილი ასწავლოს 60—80 მოსწავლე ბავშვს, რვა საათიდამ მოკიდებული ორ საათამდის ფეხზედ უნდა იდგეს, ბავშვებს, რომლებსაც ლაპარაკი არც-კი შეუძლიათ, ჩააგონოს და აქციოს ადამიანათ. მერე ამდენი შრომა რით უფასდება? იმით, რომ ორიოდე გროში ჯამაგირი აქვს და იმასაც თავისს დროზედ ვერ იღებს. თელავისა და სიღნაღის მაზრაში ისეთი მასწავლებლები არიან, რომელთაც ოთხი-ხუთი თვის ჯამაგირი არ მიუღიათ მამასახლისის წყალობით. რამ უნდა აცხოვროთ, როგორ უნდა შეასრულონ თავიანთ

## ფელეტონი

### პასუხი „კვალის“ რაზმსა

(დასასრული*)

უნდა ვიცოდეთ, რომ მეტყველების მეცნიერნი უპირატესობას აძლევენ სიტყვების იმისთანა დაწყობილობას ენაში, როდესაც სახელი არსებითი წინ უძღვის ზედ შესრულსა: ცხენი თეთრი, ძროხა წითელი. წინააღმდეგ ამისა, ნამდვილ ნაკლულევანებად მიაჩნიათ წინ ძღოლა ზედ-შესრულისა და უკან მოქცევა სახელი-არსებითისა: თეთრი ცხენი, წითელი ძროხა, ესე იგი იმისთანა დალაგება სიტყვებისა, რომელიც შეუთვისებია ქართულსა და რუსულს ენასა. თუ იკითხავთ: რად? გიპასუხებენ: როდესაც პირველად კითხულობ სიტყვას „თეთრი“, ადვილად შეიძლება თავში იმ წუთშივე დაგებადოს წარმოდგენა ბამბაზედ, თოვლზედ და სხვა თეთრს საგნებზედ და შენი გონება ასცდეს სწორე გზასა; მართალია, მეორე სიტყვა ასწორებს შეცდომასა, გამოწვეულსა პირველი სიტყვით, გონება ბამბიდგან და თოვლიდგან უბრუნდება ცხენსა, მსჯელობის ობიექტსა, საგანსა; მაგრამ ეს შეცდომა მაინც მაზარალებელია, სწორე გზიდგან ამცდენი და ამიტომ რომელი ენის შენობაც შეუძლებლად ჰყოფს მასდა აზროვნობის მოძრაობას სწორე, პირდაპირს გზაზედ ეხმარება, იგი ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ენადაო. ამის მიხედვით, ხმარება სრული დაბოლოებით ნაცვალ-სახელისა, ზედ შესრულისა, რიცხვით სახელისა და მიმღეობისა, რომელნიც ახალს ქართულში უმეტეს ნაწილად წინ უძღვიან სახელი არსებითსა, როგორც მისი განმარტეველნი, კანონად უნდა დავდოთ, თორემ ერთს თავიდგან აუშორებელს ნაკლს ჩვენის ენისასა ზედ დავურთავთ მეორე ნაკლსა, რომლის გაუქმების ღონისძიებას გვაძლევს თვისება ჩვენის ენისა და მაგალითი ხალხისა და მწიგნობრობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ორ გვარს შეცდომაში ხშირად ჩავარდება ჩვენი გონება. ავიღოთ მაგალითად ფრაზა: თეთრი (ნაცვლად თეთრის) ძროხის ხბო მოკვდა. პირველი სიტყვის წაკითხვამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიძლება თქვენ თავში დაბადოს აზრი სხვა თეთრს საგანზედ და არა ძროხაზედ. ვსთქვათ ამ შეცდომას ასცდით; მაგრამ ადვილად შეიძლება სიტყვის დაბოლოებამ წაგიტყუოთ და გაიფიქროთ: თეთრი ძროხა სძოვს. ყველა ეს ადვილი მოსალოდნელია იმიტომა, რომ აზრი კაცისა უსწრაფესი რამეა და სიტყვას იგი ბევრისაგან - ბევრით წინ ურბის. ერთი სიტყვით სრული დაბოლოება განმარტოვებული სიტყვებისა დიდად საჭიროა მეტადრე ჩვენის ენისათვის, რომელსაც ეს სიტყვები წინ უძღვიან განსამარტებელს სახელებსა, და ნამდვილ ნაკლულევანებად, მაზიანებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამ დაბოლოების ამოწყვეტა, მოკვეცა, მეტადრე მაშინ, როდესაც შემოკლებული ფორმა განმავითარებელს სიტყვას მნიშვნელობას უცვლის, როგორც საკამათო ფრაზაში: თავის ძმას (головы брату), თავისს ძმას (своему брату).

აი სწორედ ამ გამორკვეულს გარემოებაში არის დამარხული ის საიდუმლო, რომ ის ენები, რომელზედაც განმავითარებელი სიტყვები ყოველთვის იბრუნება გან ავითარებელთანა, ითვლებიან დაწინაურებულ ენებად ამ მხრივ და მათ უპირატესობა ეძლევათ იმ ენათა წინაშე, რომელზედაც მხოლოდ სახელი არსებითი იცვლება ბოლოში და დასართავი კი რჩება დაბოლოების უცვლელად. ჩვენს ქართულს ენას ენათა შორის შუა ადგილი უჭირავს ამ მხრივ. დასართავი სახელები, რომელნიც ბოლოვდებიან ასოთი ი. თითქმის ყოველს ბრუნვაში იბამენ შესაფერს მარცვალსა ან ასოსა, სახელი არსებითთან შეთანხმების დროსა: კეთილი ვაჟი, კეთილ-ის ვაჟისა, კეთილ-სა ვაჟსა, კეთილ-მა ვაჟმა, კეთილ-ი ვაჟით, კეთილ ვაჟად, კეთილ-ო ვაჟო. სხვა დაბოლოების დასართავი სახელები ვერ იმშვენევენ უმეტეს ნაწილად ბრუნვას სახელი არსებითთან და უცვლელად რჩებიან: მხნე გლეხი, მხნე გლეხისა, მხნე გლეხსა და სხვანი. ქართველობა რომ „კვალის“ მოძღვრებას აჰყვეს, პირველი რიგობის დასართავი სახელებიც უნდა უბრუნველად იხმაროს. და მაშინ ჩვენი ენა შუა ადგილიდგან ჩამოვა დაბალს ხარისხზედა. აი რა შედეგს უმზადებს „კვალი“ ჩვენს ენას თავისი კუდა გრამატიკით, დაბოლოებათა კრეჭით.

ამასთან ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ძველი ქართული ენა დიდად აფასებდა სრულს დაბრუნებას განმავითარებელის სიტყვისას წინადადებაში და აბრუნებდა თვით იმ სიტყვებსაც, რომელთაც ჩვენ ეხლა დაბოლოების უცვლელად ვხმარობთ. ამისათვის იგი სცვლიდა სიტყვების და-

*) იხ. «ივერია», № 212.

მძიმე მოვალეობა, თუ-კი არას სჭამენ რიგიანად. ან რასა სჭამს, როდესაც ჯიბეში გროში ფული არა აქვს. ზოგს სოფელში დუქანიც არ არის ისეთი, რომ ნისიად მაინც გამოართვას რამე და იოლად წავიდეს, ე. ი. გამოიკვებოს.

** 6 ოქტომბერს კალიური ბალკაში მცხოვრებელმა ჯარის კიცად ნამყოფმა ნიკოლოზ მიხაილოვმა სიმთვრალის დროს გულში დანა დაიცა. მიხაილოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## დამაკვირდი

ენა უპირველესი იარაღია ჩვენის არსებობისა და ამიტომ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ რომ ჟანგი არ მოეკიდოს.

რივაროლი*

## დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების კრების გამო ქ. ქუთაისში

27—30 სექტემბერს

ვერსად ვერ გამოივლის ეხლანდელს დროში ადამიანი იმდენს მწუხარებას, არსად გაურბენს იმდენი ნაღვლიანი ფიქრი, რამდენიც ჩვენს საზოგადო კრებაზედ. რა იწვევს ამ შავს ფიქრებს? ისა, რომ ვერა ჰხედავ ერთს სულსა და გულს, საქმეს, კერძო ინტერესებს მოკლებულს, წყნარს, საფუძვლიანს და გონებადამჯდარს მსჯელობას საზოგადო საკითხავის შესახებ. ნუ გკონიათ, რომ ეს მარტო საერო უწყებაში იყოს ასე, არა, როგორც კარგი, ისე ცუდი თვისებაც გადამდებია...

მეტად საყურადღებო უნდა იყოს ასე სხვა-და სხვა კუთხის სამღვდელოების ერთად შეკრება. იყო დრო, როდესაც თვით ეს სამღვდელოება ყოველსავე ღონისძიებასა ჰხმარობდა. არა ჰზოგავდა არც ხარჯს, არც შრომას სემინარიის დაარსებისათვის ქუთაისში, მაგრამ ვერ მოახერხა. ახლა-კი დრო სხვაფრივ დატრიალდა და ამ სასურველ საგანმა თავისს თავად იჩინა თავი. დიაღ, თავი-კი იჩინა, მაგრამ ახლა ის სამღვდელოებისაგან დიდს ყურადღებას, თავ გამოდებას, მეცადინეობასა და წინდახედულობას მოითხოვს, რომ იმედი გაამართლოს, სალი, უზადო და უნაკლულო სამსახური გასწიოს. სასულიერო სემინარია ჰზრდის ყმაწვილებს არა მარტო კერძო ცხოვრებისათვის, რომ მარტო თავიანთს თავს წარუძღვნენ ცხოვრებაში, არამედ ისინი სხვისი მასწავლებელნი, წინამძღვარნი და მაგალითნიც უნდა იყვნენ. მაგალითნი მდაბიო ხალხისა, რომელიც ყოველ მხრით საჭიროებს დახმარებას და რომლისათვისაც დიდად გამოცდილი, დახელოვნებული, გულ-კეთილი და შრომის მოყვარე ადამიანია საჭირო. რა-კი ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ საგანს, მისი წინ დაუხედავად, მიდგომით, თავ-მოყვარეობით და სიჩქარით განბჯობა მიუტევებელი ცოდვაა.

კრებას დაესწრო 90 წარმომადგენელი სამღვდელოებისა. თავმჯდომარედ ერთ-ხმად არჩეულ იქმნა დეკ. დ. ღამბაშიძე. პირველი კრება დაიწყო 27 სექტემბერს. კრებას უნდა განეხილა ორი საკითხავი: რა შემწეობას აღმოუჩენდა სამღვდელოება სემინარიას და რა მოსაზრებას წარადგენდა შენობის ასაგებ ადგილის შესახებ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის წინადადებისაგან, უკანასკნელი საკითხავი განხილული ყოფილიყო, ე. ი. ადგილი უკვე არჩეული ჰქონდა თვით მთავრობას: უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგს ბ-ნს საბლერს, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქ. ეგზარხოსს, ყოვლად უსამღვდელოესს გაბრიელს და უწმიდესის სინოდის არხიტექტორს. ამიტომ კრებას დარჩა მხოლოდ პირველი საკითხავი განსახილველად. ამ გარემოებამ ორად გაანაწილა კრება: ერთმა ნაწილმა დაიწყო ლაპარაკი, რომ კრებამ მაინცა და მაინც სჯა იქონიოს ადგილის ამორჩევის შესახებაო, და კომისია დავნიშნოთო; მეორენი-კი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეს საჭირო არ არისო. მთელი დრო კრებამ ამ უპრალო ბრძოლასა და ლაპარაკს მოანდომა და ესეც ვერ დააბოლოვა, ისე დაიშალა.

ჩვენის აზრით, პირველის აზრის მომხრენი არ იყვნენ მართალნი: ჯერ ერთი, მთავრობა თხოულობდა სამღვდელოებისაგან ადგილის ამორჩევას მაშინ, როდესაც თვით არ შეეძლო ადგილის გასინჯვა, მაგრამ რა-კი თითონ განიხილა ყდ. სამღვდელო გაბრიელისა და ქალაქის დეპუტაციის ჩვენებით აღირჩია ადგილი, მაშინ რაღა საჭიროა ადგილის შესახებ კვლავ აღძვრა ლაპარაკისა და მეორე, როდესაც მოითხოვეს ადგილის შესახებ ლაპარაკს დაწყება, უნდა ჰქონოდათ არჩეული სხვა უფრო მოხერხებული და უკეთესი ადგილი და მაშინ იმათი თხოვნა უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, ყველა დაეთანხმებოდა. მესამე, რადგან ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელის წინადადებით კრებას აღარ უნდა აღეძრა ლაპარაკი ადგილის შესახებ, ამ შემთხვევაში კრებას უნდა შეეკრიბა ყოველივე მოუხერხებლობა არჩეულის ადგილისა, და უპირატესობა მეორესი, აღენიშნა იგი ჟურნალში და ეთხოვა მთავრობისთვის არჩეულის ადგილის შეცვლა; საქმე მალე გათავდებოდა, კრებას დრო არ დაეკარგოდა და უფრო რიგიანიც იყო. მეოთხედ, რა საჭიროა უთუოდ ადგილის შესახებ ლაპარაკი, როდესაც უმეტესი ნაწილი კრებისა, იმათ, ვისაც რომ მიანდეთ ადგილის არჩევა, იმ ადგილს ამოირჩევდა. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ქუთაისში მოიპოვებოდეს სხვა უკეთესი ადგილი ჰაერით, სისუფთავით, სიჩუმით „ლოლობერიძის ნასახლევის“ ადგილზედ. ამ ადგილს მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ მაღლობი ადგილია, მასალის ატანა იქ უფრო ძვირი დაჯდება და ზამთარში უფრო ცივი ჰავა იქნება. მაგრამ ამ ნაკლს კარგი თვისება სჭარბობს.

არ არის მოსაწონი არც მოწინააღმდეგე დასის ქცევა, რომელიც ისევე დაჟინებით ამბობდა, რომ არ არის საჭირო, არ გვინდა კომისია ადგილის ამოსარჩევადაო. რისა ეშინოდათ კომისიისა, არ გვესმის. თუ კარგია არჩეული ადგილი, კომისიაც ხომ იმას დაადგებოდა; თუ არა-და, თუ უკეთესს იპოვნიდა, რატომ არ უნდა დასთანხმებოდნენ! მაგრამ არა, არ ეტყობა აქ ორივე მხარეს თავ-მოყვარეობა, კერძოობა, წინდაუხედაობა, გამოუცდელობა-მოქმედებისა? ნუ თუ ადგილისაგან არის დამოკიდებული სემინარიის სვე ბედი? ნუ თუ ჩვენ მიერ არჩეულს ადგილზედ თუ აგვს შენობა, მეტი აღარაფერია სავალალო და საზრუნველი?.. ვიმეორებ, რომ მთელი დრო ამ კამათსა და ბრძოლას მოანდომა კრებამ და სხვა საკითხავები, ბევრად ამაზედ შესანიშნავნი, უფრო საყურადღებონი, დაუბოლოვებელი დასტოვა.

მეორედ, იმითია საყურადღებო სხვა-და სხვა კუთხის სამღვდელოების კრება, რომ ამათ იციან, იმათს მხარეს რა უშლით ხელს იმათს სამსახურს, რა ესაჭიროება მრევლს, რას უნდა მიექცეს უფრო ყურადღება. ყოველსავე ამას გაუზიარებდნენ ერთმანეთს, იღონებდნენ რაიმე ღონეს თავიანთის სამსახურისა და მოვალეობის უმჯობესად ასასრულებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ესე ყოველივე უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. პირველი ნაბიჯი ყოველთვის სძნელია, ნათქვამია. ეს პირველი კრება იყო, იმედია, რომ მეორეჯელ უფრო დაფიქრებულნი, დაგონებულნი მოვლენ და უფრო უკეთ შეიძლებენ საზოგადო საქმის გაძღოლას.

მღ. დ. ჩხაიძე

## კორესპონდენცია

**სოფ. ხიმში.** (რაჭის მაზრა), 4 ოქტომბერი. ბ-ნი ს. დათეშიძე სწერს «ივერიის» მე- 198 №-ში, რომ ვ. ჭიჭინაძეს თავის მოკლე ცნობებში წესისა და ველევის საზოგადოებათა შეერთების და საშუალო ალაგის ამორჩევის შესახებ, ცოტა არ იყოს სიმართლის კვალისთვის გადაუხვევიაო, და ამისთვის მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს სიმართლე აღვადგინოო, სიტყვით-კი ჰბრძანებს სიმართლის აღდგენას, მაგრამ საქმით, რომ გაზომოს კაცმა, სიმტყუნე მეტი წილი აღუდგენია, ვიდრე სიმართლე. ბ-ნი ს. დათეშიძე სწერს, სოფ. ამბროლაურს სჯობია სასწავლებლისა და კანცელარიის აშენება, ვიდრე ხიმშის ჭალაზედაო: ამბროლაურს რადა სჯობია და არა ხიმშის ჭალაზედ? ბ-ნი ს. დათეშიძე ჰბრძანებს: იმად ემჯობინება ამბროლაურში სასწავლებლისა და კანცელირიის აშენება, რომ ეს ადგილი შუა ადგილია წესისა და ველევის საზოგადოებათა შორისაო.

სულაც არა. წესის საზოგადოებას აკრავს ერთი იმისთანა სოფელი, რომელიც ამბროლაურზედ თორმეტის ვერსის მანძილით იქნება მოშორებული. (სახელდობრ ჯავი). ვეკითხავთ ეხლა, ამბროლაური იქნება შუა ადგილი თუ ხიმშის ჭალა სოფ. ჯავისასა და ველევს შორის!.

სასწავლებლისა და კანცელარიის ასაშენებელ ადგილს ბ-ნი მ. გიორგობიანი უფასოდ გვითმობსო, ჰბრძანებს ბ-ნი სამსონ დათეშიძე ეს ხომ ცოცხალი ტყუილია? ამბროლაურის და ველების საზოგადოებიდგან ამორჩეული იქმნა თექვსმეტი კაცი; ამ თექვსმეტს კაცს ის მინდობილობა ჰქონდათ საზოგადოებისაგან, რომ სასწავლებლისა და კანცელარიის ასაშენებელი ადგილი უნდა ევაჭრათ. საზოგადოებისაგან ამორჩეულმა კაცებმა უკვე მიჰმართეს ბ ნს. მ. გიორგობიანს და სთხოვეს საყიდელი ადგილი. ადგილის პატრონმა არამც თუ არ აჩუქა საზოგადოებას ადგილი, როგორც ბ-ნი ს. დათეშიძე ჰბრძანებს, არამედ ფასიც არა სთქვა თავისის ადგილისა. ამის გამო იქვე ახლოს მდებარე ადგილების პატრონებმა იფიქრეს: თუ მ. გიორგობიანმა ადგილი არ მიჰყიდა ეხლა-კი ჩვენ ცამდის აგვაშენებენ, იმდენს ფასს მოგვცემენ ადგილშიო. მართლაც, ეს თექვსმეტი კაცი შეევაჭრა იქვე გიორგობიანის მამულს ახლო მდებარე ადგილს და გლეხმა ლონდაძემ ნახევარი ქცევა ვენახი, ათასხუთასი მანათი დააფასა. ამ ადგილში მხოლოდ კანცელარია თუ მოთავსდებოდა და სასწავლებლისა და ბაღისათვის კიდევ სხვა ადგილი უნდა ეყიდათ. ასეთის უზომო ფასის გადახდისა გამო, ხომ კისრამდე ტყავი გასძვრებათ საწყალს გლეხებს! განა სხვა გადასახადი არ ეყოფათ? ესეც უნდა ვსთქვათ, ხომ არც ხიმშის ჭალაზე მოგვცემენ მუქთათ ადგილს მაგრამ სოფ. ამბროლაურს რომ ათას-ხუთასი მანეთი დააფასეს ნახევარი ქცევა მიწა, იმის ზომა მიწა ხიმშის ჭალაზე ას-ორმოცდა-ათ მანეთად შეიძლება იყიდოს კაცმა. შეიძლება-კი არა, მთხოვნელიც არიან ამ ფასად ადგილის გაყიდვისა.

*) ეს აფორიზმი რივაროლს ტყუილად დაუმისებია: ჩვენ გვგონია, იგი ბ-ნ მიხეილ მაჩაბლის ნათქვამი უნდა იყოს.

შენიშვნა მთარგმნელისა.

---

ლაგებასა და ხშირად განმავითარებელს მოაქცევდა ხოლმე განსავითარებელის უკან და აბრუნებდა მას სახელი არსებითისავით: შევნატრი მე კაცსა მხნესა და გულ-უბრიყვლოსა.

კიდევ კარგი, რომ ამ ფორმების გასხვლაში მხოლოდ „კვალია“ დამნაშავე, სხვა პერიოდული გამოცემანი იცავენ სრულს დაბოლოებას განმარტებითს სიტყვებშიაც და ზმნებშიაც. თვით გამოთქმა „თავისს დღეში“ მიღებულია როგორც „ივერიაში“, ისე მოამბეში.

ამ სალს საგრამატიკო აზრებს ყველაზედ ხმა მაღლა უნდა ესარჩლებოდეს და ქადაგობდეს ბ-ნი დოდაშვილი, როგორც მოსპეციალე. ეს იმისს პირდაპირს ვალს შეადგენს. მაგრამ იგი არამც თუ ასე არ იქცევა, არამედ სხვებსაც ხელს უცარავს ამ საქმეში და იქამდის გაკაჟნიერებულა, რომ სხოლასტებს ეძახის ყველას იმათ, ვინც კუდა ფორმებით არა ხმარობენ სიტყვებსა და იცავენ სრულსა და გაფურჩქნულ დაბოლოებათა.

„კვალის“ რაზმს სრულიადაც არ აწუხებს, რომ ფორმების კრეჭის გამო ომონიმები, ანუ სიტყვები, რომელთაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ, ერთი ორად იმატებენ ქართულს ენაში. სამის წლის ბავშვმაც-კი იცის, რომ, როდესაც კაცი ხშირად თხოულობს ტანისამოსს მეზობლებისაგან, ეს იმისი სიღატაკის ნიშანია. ამას მარტო ის ცუდი შედეგი როდი მოსდევს, რომ ნახმარი ტანისამოსი ცუდად ადგია და აუშნოებს მთხოვნელს: ხანდახან ისიც მოხდება ხოლმე, რომ პეტრეს მტერი სჯის უმანკო პავლესა, პეტრეს ტანისამოსში გახვეულსა, რადგანაც ტანისამოსი ატყუებს. მზგავსად ამისა, თუ ადამიანის აზრები, ანუ წარმოდგენანი თავისის განხორციელებისათვის წამდაუწუმ სესხულობენ მეზობელი აზრებიდგან სამეტყველო ტანისამოსსა, და თავისს საკუთარს სამოსელს, მათზედ გამოჭრილს და შეკერილს, მოკლებულნი არიან—ეს უტყუარი მოწამეა იმისა, რომ ენა სიღარიბეში იმყოფება. ამ თხოვნა-სესხების მეოხებით ენაშიაც ხშირად პეტრე პავლედ გეჩვენებათ, გერევათ აზრები და შეცდომაში შედიხართ. ამიტომ იდეალურ ენად ითვლება ის ენა, რომელსაც ყოველი წარმოდგენისა და შემეცნების გამოსახატველად აქვს განსაკუთრებული სამეტყველო სამოსელი შინაარსზედ ზედ გამოჭრილი და შეკერილი. ამისთანა ზედ გამოჭრილობა სიტყვებისა შემეცნებებზედ, აზრების ზრდასაც ეხმარება. როგორც შესაბამს ტანისამოსში უფრო სწორედ და შნოიანად იზრდება საღი სხეული ადამიანისა. აი რისთვის სიმდიდრე ლექსიკონისა ყველგან და ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება დიდ ღირსებად ენისა და კერძო მწერლისა. შექსპირი, უდიდესი გენიოსი, უმდიდრესი აზრებით, უბადლოა ლექსიკონის სიმდიდრით, რადგანაც ყოველი მისი აზრი, შემეცნება განხორციელებულია თავისს შესაბამს, განსაკუთრებულს ფორმაში. შექსპირი ამ მხრითაც იდეალია მწერალთათვის. წინააღმდეგ ამისა, რამდენიც ხალხი დაბლა სდგას აზრებით და განვითარებით, იმდენი უფრო ღატაკია სიტყვებით, ფორმებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს. ველურს ხალხებს ცალკე სიტყვები აქვთ მხოლოდ პირველის ათი რიცხვისათვის, დანარჩენი უთვალავი რიცხვები გამოიხატებიან მათს ენაზედ ერთის სიტყვით: ბევრი. ოცსაც ბევრი ჰქვიან, ასსაცა და ათასსაცა. ამის გამო რამდენიც უფრო ენა მდიდარია ომონიმებით, იმდენი უფრო ახლო სდგას იგი ველურის ხალხების ენებთანა. აი საითკენ მიჰყავს ჩვენი ენა „კვალის“ სიყვარულს ომონიმებისადმი. ფრანციული ენა მდიდარია ომონიმებითაო, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ამ ენას ყველა სხვა ენებზედ უკეთესი გამომხატველი იყოს ყოველ გვარი ფილოსოფიურის აზრებისაო, ბრძანა „კვალის“ მამასახლისმა. ბრძანა— ესა და, წარმოიდგინეთ, საქოჩრემდის არ გაწითლდა სირცხვილით. არ გაწითლდა-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ —როგორც ეს ყველამ იცის—ფრანციული ენა ომონიმების წყალობით სავსეა ორ აზროვანი, უწმაწური გამოთქმებითა, რომელნიც მხოლოდ ყველიერში არ ჩაითვლებიან ენის ნაკლულევანებად. რაც შეეხება ფილოსოფიასა, მისთვის ისე ნაკლებად არის გამოსადეგი ფრანგული ენა, რომ სრულიად და სავსებით გადათარგმნა ნემეცურიდგან და ინგლისურიდგან ფილოსოფიურის თხზულებებისა თითქმის შეუძლებელია, რის გამოც ყოველი ფრანციული, რომელსაც ფილოსოფიის ზედმიწევნით შესწავლა უნდა, იძულებულია შეითვისოს ნემეცური და ინგლისური ენა. ფრანციული ენა მდიდარია სხვა-და-სხვა ღირსებითა; მაგრამ ომონიმების სიმრავლე-კი ძლიერ საგრძნობელს ნაკლულევანებას შეადგენს. რად გვინდა ამ ნაკლულევანების გადიდება ჩვენს ენაში, როდესაც უიმისოდაც ღარიბნი არა ვართ ომონიმებითა; მაგალითად: კვალი ნადირისა (слѣдъ), კვალი ბოსტნისა (гряда), კვალი გუთნისა (борозда) და სხვანი. რას იტყოდა „კვალის“ რედაქცია, რომ რომელსამე ღარიბს კაცს თვალი გამოეთხარა იმის გამო, რომ ერთი როდშილდთაგანი ცალთვალააო? განა უგუნურს დაუძახებდა? მზგავსადვე იქცევა თვითონ ეს რედაქცია, როდესაც ფრანციულის ენის მაგალითით ამართლებს ომონიმების ძალად გამრავლე-

ბ-ნი ს. დათეშიძე სწერს თავისს წერილში, რომ ამბროლაურში ფართლეულობის და წუღების მაღაზიები არისო. ეს მართალი არ გახლავთ. ფართლეულის და წუღის მაღაზია ერთიც არ მოიპოვება ამბროლაურში. არის მხოლოდ სამი სასმელის დუქანი და თითოეულს მედუქნეს ათ ათი ბოთლი თუ ექნებათ დაწყობილი. თითონ სხედან და პირდაღებული ელოდებიან მუშტრებს. ამბროლაურში ხორაგეულის, და თუთუნ-პაპიროზის შოვნაც-კი იშვიათია, ბ-ნი ს. დათეშიძე-კი ბრძანებს ამბროლაურში ყველაფერი ბევრი იშოვებაო.

ბ-ნი დათეშიძე ბრძანებს: სოფ. ამბროლაურში სცხოვრობს მომრიგებელი მოსამართლეო. ესეც ასე არ არის. ამბროლაურში სცხოვრობს პოლიციის ბოქაული და მომრიგებელი შუამავალი, მაგრამ ზაფხულობით სიცხისა და ცუდის ჰავის მიზეზით სხვა სოფლებში ატარებენ, მხოლოდ ზამთრობით სცხოვრობენ ამბროლაურში. ზამთარში შემა სოფ. წესიდგან მიაქვთ.

ვ. ქიქინაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბერლინის ერთის გაზეთის თანამშრომელს ლაპარაკი ჰქონია ტოკიოს გაზეთ „აზაჰის" რედაქტორთან, რომელიც ამ ჟამად ბერლინში იმყოფება.

ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ ჩვენს საგანს და არავის არ მივცემთ ნებას წაგვართვას შედეგი ჩვენის გამარჯვებისა, უთქვამს რედაქტორს: ჩვენ, იაპონელებს, ინგლისელებისა სრულიად არ გვეშინიან. პირიქით! სწორედ მაშინ დაიწყება ომი ჩინეთთან. ომი თამაშობაა მხოლოდ, ჩვენთვის, რასაკვირველია. ჩინელებს აქამდე მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვეთ წაყვანილნი ჰყავთ რამდენიმე ათასი კაცი, ხოლო ჩვენ მოგვიკლეს და დაგვიჭრეს სულ 300 კაცი. ევროპაშა არ იციან, როგორია იაპონიის ჯარის-კაცი. თქვენ, უეჭველია, არც-კი იცით, რომ იაპონიის ჯარის-კაცისათვის, იმ დღიდგან, როცა საომრად წავა, სამახისია სამშობლოში წერილის მიწერა და თავისს მშობლებთა და ნათესავთაგანაც წვრილების მიღება. ომში წასულ იაპონელს მშობლები გამოიგლოვებენ ხოლმე, როგორც განსვენებულს და, იმისთვისაც აღარ არსებობენ იგინი. გარწმუნებთ, რომ არას გაზვიადებ. ყველა უცხოელი, რომელმაც ცოტაოდნად მაინც იცის ჩვენი ზნე-ჩვეულება, დამემოწმება, რომ რაკი პატიოსნებასა და სამშობლოს დაცვაზედ მიდგება საქმე, იაპონელი თავისს სიცოცხლეს სრულიად არაფრად აფასებს. რაც შეუძლიან ამ ერს, თუ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანთ, მხოლოდ მაშინ გაიგებთ, როცა გეტყვით, რომ იაპონელს უფრო შეუძლიან თავის განწირვა, ვიდრე თავზედ ხელ აღებულს ანარქისტს.

— მე ეჭვიც არა მაქვს თქვენს მამაცობაზედ, მაგრამ გამოტყდით, რომ თქვენი ხომალდები ინგლისის ხომალდებს ჩამოუვარდება.

— რატომაო? განა სულ ერთი არ არის, ჩინეთის ჯავშნიან ხომალდებს დავუშინთ ტყვია-ყუმბარებს, თუ ინგლისისას? საქმე ის არის, რომ ჩვენ კარგად ვიცით ხმარება ინგლისშივე გაკეთებულ ზარბაზნებისა, და რომ ეს მართალია, იალუში მომხდარმა ბრძოლამ დაამტკიცა. თუ ინგლისელებთან დაგვჭირდა ბრძოლა, მაშინ მხოლოდ ის მოგვინდება, რომ ჩვენს თვალებს მეტი ძალა დავატანოთ, და თვალისჩინი-კი როგორიცა აქვთ იაპონელებს, ეს სელოვნების მცოდნეთ ჰკითხეთ, რომელნიც საკვირვლად რჩებიან ხოლმე, როცა ჰხედავენ ჩვენის მხატვრების მიერ დახატულს სურათებს.

— მერე, რას იზამთ, რუსეთიც რომ ჩაერიოს ომში?

— რუსეთისა სრულიადაც არ გვეშინიან. იმ ორი ათას კაცისა, რომელსაც გამოჰგზავნის რუსეთი (ამაზედ მეტი ვერ გადმოკვა კორეს საზღვარს), ადვილად გავცემთ პასუხს.

— კარგი, მაგრამ ინგლისს ხომ შეუძლიან ინდოეთიდგან ჯარი მოიყვანოს.

— ინდოეთიდგან? არა, ინგლისი ამას ისე ადვილად ვერ გაჰბედავს. უფრო ადვილად თვით ბრიტანიიდგან წამოიყვანს ჯარს, ისაც ერთის მუჭას იმ ჯართან შედარებით, რომელიც შეუძლიან გამოიყვანოს ჩვენმა ორმოც-და-ექვს მილიონისაგან შემდგარმა ერმა. არა! ომის გათავებისას და შერიგების დროსაც ისევე არ მივცემთ უცხოელებს ჩვენ საქმეში გარევის ნებას, როგორც ახლა, ომის დროს, და მგონია საკმაოდ ნათლად აგიწერეთ ის მიზეზი, რა მიზეზითაც ვერ მოგვითმენია ჩვენს საქმეში გარევას.

**

გაზ. „Нов. Вр."-ს კორესპონდენტი ბ-ნი იაკოვლევი სწერს პარიზიდგან:

ამბობენ, პრეზიდენტს თავისი საკუთარი პოლიტიკა არ უნდა ჰქონდესო. მაგრამ ეს სიტყვებია და მეტი არაფერი. როცა პრეზიდენტს ირჩევენ, კარგად იციან ვისთან აქვთ საქმე. მაშასადამე, ახალ არჩევანამდე პრეზიდენტის მხარეს იქმნება პარლამენტის უმრავლესობა, რომელმაც აირჩია იგი, როგორც წარმომადგენელი თავისს სურვილისა. ამ უმრავლესობის წინააღმდეგ, მართალია, პრეზიდენტი ვერას გავა, მაგრამ იგი მძლავრია უმრავლესობასთან ერთად. ამიტომ კაზიმირ პერიეს დიდი მნიშვნელობა ექნება საფრანგეთის ბედ-იღბალში, ვიდრე პრეზიდენტად დარჩება. რით გამოიხატება ეს მნიშვნელობა? რასაკვირველია იმითი, რომ შესაფერის მინისტრებს ამოირჩევს იგი. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დიუპუიმ ანარქისტთა წინააღმდეგ კანონის მიღების დროს ძალა დაატანა პარლამენტის უმრავლესობას და ამიტომ იმანაც აითვალწუნა. ეს უმრავლესობა უეჭველია გადააყენებს იმას ახალ-წლამდე, ან იქმნება უფრო ადრეც. ამიტომ პრეზიდენტი უკვე შეუდგა ზრუნვას ახალ კაბინეტის შედგენისას და მიჰმართა ძველს მეგობარს ვალდეკ-რუსსოს, რომელმაც დიდი ხანია პოლიტიკას თავი დაანება. თავისს დროს (გამბეტასა და ფერრის კაბინეტში) ვალდეკ-რუსსო მეტად ახალგაზრდა მინისტრი იყო (30 წლისა), მაგრამ მიუხედავად იმისა იგი ყოველთვის მთავრობას ემხრობოდა. სწორედ ამ კაცს ჩაჰბარდება სულ მოკლე ხანში დიუპუის ადგილი და ეს კაცი-კი სწორედ რომ წარმოადგენელია კაზიმირ პერიეს სახოპოლიტიკო აზრისა და მიმართულებისა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მთელი საფრანგეთი მეტად დიდს მნიშვნელობას აწერს ვალდეკ-რუსსოის არჩევას სენატში.

## რუსეთი

—

გაზ. „Русск. Ж." შემდეგს შემაძრწუნებელს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც 15 წლის ყმაწვილს ჩაუდენია. ტომსკის გუბერნიის ქ. ბიისკში. „ერთი ყაზანელი ვიღაც ვლასოვის საწვრილმანო მაღაზიაში შესულა, რომელიც დიდსა და თვალსაჩინო ქუჩაზედ არის თურმე. მაღაზიაში 13 წლის ნოქრის მეტი არავინა ყოფილა. ყაზანელმა ამ პატარა ნოქარს ყელი გამოსჭრა თურმე და მაგიდას უკან დამალა, თითონ-კი დახლში ჩადგა და ვაჭრობა დაიწყო. ამ დროს დუქანს მუშტარი ბევრი მოაწყდა, რომელთაც მკვლელი სავაჭროს აძლევდა, ფულებს ართმევდა და თუ ხურდა ერგებოდათ, უკან უბრუნებდა. თუ ვინიცობაა ჰკითხავდა ვინმე ნოქარს, პასუხს მოხერხებით აძლევდა. რამდენისამე ხნის შემდეგ მაღაზიაში თვით მაღაზიის პატრონის ცოლი შემოვიდა და უცხო კაცი რომ დაინახა, თავიანთი ნოქარი მოიკითხა. მკვლელმა უპასუხა, რომ ნოქარი სარდაფში ჩავიდაო, რომელსაც ჩასავალი მაღაზიიდგან ჰქონდა. ქალი სარდაფისკენ გაეშურა, ყაზანელი უკანიდგან მიეპარა, რამდენჯერმე მარჯვედ დაჰკრა თავში და იქვე მოჰკლა. ამ მკვლელობის შემდეგაც არხეინად განაგრძო ვაჭრობა, და ოდნავაც არ აუღებინებია ეჭვი მუშტრებისათვის. არც თითონ ეშინოდა თურმე, თუმცა-კი ვლასოვი იქვე ეზოში მუშაობდა. ცოტა ხნის შემდგომ ახლა მოკლულის ქალის მზარეული შემოვიდა და დიასახლისი მოიკითხა. ყაზანელმა ისიც სარდაფისკენ გაჰგზავნა, თითონაც უკან ჩაჰყვა და ისიც მოჰკლა. მერე მაღაზიიდგან გამოვიდა, მივიდა მაღაზიის პატრონთან და სთხოვა, ადგილი რამე მომეცითო. იმან უარი უთხრა. ყაზანელმა დაუწყო რწმუნება, რომ სამი დღე არაფერი მიჭამია და სიმშილით ვკვდებიო. მაღაზიის პატრონმა ორი შაური აჩუქა და მკვლელმა არხეინად გასწია შინისაკენ. ეს მკვლელი შემთხვევით აღმოაჩინეს და აღიარა კიდეც თავისი დანაშაული.

—

რუსულს გაზეთებში შემდეგი ცნობებია სათადარიგო ჯარის-კაცთა ქონებრივ მდგომარეობის შესახებ: „სახლში დაბრუნებულთ სათადარიგო ჯარის-კაცთა უმეტესი ნაწილი რიგიანად ჩაცმულ-დახურული იყო: ამათგან 15% გლეხობა იყო. შიგა და შიგ ისეთი დაგლეჯილ-დაფლეთილები ერივნენ, რომ არამც თუ წაღები არამედ ტანისამოსიც-კი არ ეცვათ, მარტო ერთი დაგლეჯილი პერანგი ემოსათ, მაგრამ ამისთანები ძალიან ცოტა იყვნენ, 1 ან 1½% ძლივს შეადგენდა საზოგადო რიცხვისას.

„როგორცა სჩანს უმრავლესობა უწინდელისთანავე დაბრუნდა, არა შესცვლია-რა, არა დასტყობია რა ჯარში ყოფნისა, თუმცა ბევრი მათგანი ქარხნებში მომუშავე და სხვადასხვა დაწესებულებაში ან კერძო კაცთან მოსამსახურედ ყოფილა და ზოგს ხელობაც შეუსწავლია. ქარხნებში მომუშავენი ფიზიკურად უფრო სუსტნი იყვნენ, ასე რომ თოფის გასროლას ძლივს იტანდნენ თურმე. ზოგიერთი მათგანი ბერლინის ტანისამოსით, გრძელის თმითა და კუნკულა დახურულები მოვიდნენო".

—

გაზეთს „Неделя"-ში შემდეგი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი: ივლისის 8 ს, ბ-ნი იურლოვი თავისს საჯინიბოს ათვალიერებდა. ამ დროს შენიშნა რომ მეჯინიბე კლასოვმა (20 წლის ყმაწვილმა) ორთითის ტარი ერთს ცხენს ფერდში დაარტყა. კლასოვი იმითი იმართლებდა თავს, რომ ცხენმა ნალიანი ჩლიქა შიშველს ფეხზედ დამადგაო და რომ სასტიკი ტკივილი თავიდგან ამეცალებინა, ცხენს გავუჯავრდიო. მაგრამ ბ-მა იურლოვმა მეჯინიბეს თავისს გამართლებას ყურადღება არ მიაქცია, წაავლო ყურში ხელი, საჯინიბოს გარედ გამოიყვანა და თავისს მეეტლეს და იმის თანაშემწეს უბრძანა, რომ კლასოვი გაამათრახეთო. ბრძანება მაშინვე შეასრულეს. კლასოვს შარვალი ჩახადეს, პერანგი წამოაკეცეს და ისე ღონივრად გაუწკეპლეს ზურგი და ხელები, რომლითაც საწყალი კლასოვი სცდილობდა თავი დაეფარა, რომ სისხლი სდიოდა. მაგრამ ეს სასჯელი არაფრად ეჩვენა ბ-ნს იურლოვს, დაავლო კლასოვს თმაში ხელები და პირისახე მიწაზედ დაუზილა. მერე მოატანინა ორთითა და უბრძანა, კლასოვისა-

---

ბასა ჩვენს ენაზედა.

დიახ, უნდა გაიდევნოს კრება, კვეცა დაბოლოებათა როგორც სახელებში ისე ზმნებში, უნდა გამეფდნენ სრულნი, გაფურჩქნული ფორმები. ამ ფორმებსა და კუდა ფორმებს შორის წარმოობს ბრძოლა არსებობისათვის, ხალხი ერთსაცა ხმარობს და მეორესაცა, უკან დარჩენილისაცა და დაწინაურებულსაცა. ქართული ლიტერატურის მოვალეობაა ეს ბრძოლა გადახაროს გაფურჩქნული ფორმებისაკენ, დაწინაურებულ გამოთქმათა მისცეს უპირატესობა და კუდა ფორმებს ზურგი შეაქციოს, რათა ჩვენმა ენამ უკან მსვლელობა არ მიიღოს, პროგრესის მაგიერად რეგრესი არ მოვიმკოთ და მეტყველებით ველურს ხალხებს არ დავემგზავსოთ. კერძოდ, კონკრეტულად: იქით გამოთქმა „თავის (ფეხების) დღესა" და გაუმარჯოს „თავისს დღესა" მოისპოს „ისინი ძირს ჩავიდენ (ცოდოს ჩავიდენ) და იყოს: ჩავიდნენ; გაუქმდეს: „ჭკუა გონიერ კაცისა და იხმარებოდეს: გონიერის კაცისა, და სხვანი.

ბ-ნმა აკაკიმ ძირად ზმნისა ალ გიარებ ჩათვალა მარცვალი რებ. ჩვენი გრამატიკოსი იძულებული იყო ეს შეცდომად ეღიარებინა; მაგრამ ამასთან მოიწადინა მსხვილი შეცდომა წვრილ შეცდომად გადაექცია და ამ განზრახვით დამალა ორი უკანასკნელი ასო და გვარწმუნებს, ვითომ სიტყვის ძირად აკაკის მიეღო მხოლოდ ერთი უხმო ასო რ. სასაცილო ერთგულებაა! თითქო უსახელოვანესი პოეტის დიდება იოტის ოდნად შემცირდებოდეს ფორმალური ფილოლოგიურის შეცდომის გამო.

ჩვენის პოეტის სხვა შეცდომები ბ-ნმა დოდაშვილმა ასე მიაფუჩეჩა: „დანარჩენნი ვითომც და შეცდომები აკაკისა ფრიად წვრილმანნი არიან და ვერ გამოვეკიდებით მათ გარჩევას სიწვრილმანისა და უმნიშვნელობის გამო; მით უმეტეს, რომ ყოველს ჩვენგანს უფრო უარესი შეცდომებით გვაქვს სავსე ჩვენი ნაწერები." თქვენ რომ უარესი შეცდომებით ბძანდებით მდიდარი, ამას ხმა მაღლა, ემოწმება აი ეს უკანასკნელი ფრაზაც-კი; უნდა ყოფილიყო: ყოველს ჩვენგანს აქვს, ან „ჩვენ ყველას გვაქვს". დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს აზრს თქვენსავე უარესს შეცდომაებზე სავსებით გავამართლებთ თქვენის მეტყველების მარგალიტებით, რომელთაც მწკრივ-მწკრივად გამოვსჭიმავთ მკითხველის თვალის წინა. რაც შეეხება ჩვენს საკუთარს შეცდომებსა, რომელთაც თქვენ ებლაუჭებით სხვების დახმარებით, იმათი განხილვა ცხად ჰყოფს მეორე მხრითაც თქვენს უცოდინარობას და ამას გარდა გამოაშკარავებს იმასაც, რომ თქვენ, საწმუხაროდ, ძლიერა კოჭლობთ კეთილ-სვინიდისიანობაში.

იაკობ სიმონიძე

P. S. ეს წერილი დამზადებული იყო, როდესაც ფოსტამ მომიტანა ბ-ნი აკაკის შენიშვნა, „ივერიაში" დასტამბული და ჩემდამი მომართული. ამ შენიშვნაში ჩვენი პოეტი აღიარებს, რომ ჩემი რაზმი უფრო შორს წავიდა ბრძოლაში, ვიდრე მე მსურდაო, მიცხადებს თავისს სიყვარულსა და პატივსცემასა და ამასთან ბოლდიხანობის ტიტულით მაჯილდოებს. პირველი მჯერა, მეორესა და მესამეს გულისათვის დიდსა და მხურვალე მადლობას მოვახსენებ და მეოთხეზედ-კი უარს გაუბედავ. ბოლდიხანი დიდგულა ფაფხურა, ვისაც არა მგონია ომს გამოუცხადებს და მაშინვე ქვეშ მოექცევა. აი ამას წინედაც ედიდგულა იაპონიის მიკადოს, დაეტაკა და მიმსხვრეულ იქმნა, როგორც იმსხვრევა თიხის ჰურჭელი სპილენძის ჰურჭელთან შეხეთქებით. ხოლო მე არც არავის ვედიდგულები, არც არავის ომს ვუცხადებ ცუდ-უბრალოდ და არც ვექადნები, ფაფხურა ბოლდიხანის სამივე ღირსებით შემკული სულიერი „კვალის" რედაქციაში სუფევს და ჩინური გვირგვინი მისი უპრიანია. მეტადრე აკაკის ხელით მის თავზედ დადგმული ფაფხურას გვირგვინი გამოუთქმელს ნეტარებას აგრძნობინებს. რად მოვაკლოთ იგი ამ ნეტარებასა, სრულიად დამსახურებულსა მისგან? ბ-ნი აკაკი გვარწმუნებს, რომ მართალია, ისარი პირველად მე დაგიმიზნე და ომი მე გამოგიცხადე, მაგრამ მერმე-კი აღარა ვითარ მონაწილეობას აღარ ვიღებდი და არც ვიღებო. მჯერა და ამის შემდეგ აკაკის ხსენება ჩემს პოლემიკურს სტატიებში აღარ იქმნება. გარდა ამისა მისი მეგობრული წერილი სხვა ნაყოფსაც მოიტანს: ჩემი სტატიებიდგან გაქრება სრულიად ის მცირეოდენი სუბექტიური ელემენტი, რომელიც უნებლიედ ერეოდა შიგა, და ისინი მიიღებენ სასტიკ-ობექტიურს მიმართულებასა. მათ გაგრძელებას ითხოვენ: ქართულის ენის სიკეთე, საზოგადო ინტერესი და სარგებლობა თვით „კვალის" რედაქციისა. ერთი სათხოვარი მაქვს აკაკისთან: უპატრონოს „კვალის" პედაგოგების დახმარებით იმ ფრიად სავალო საზოგადო საქმესა, რომელიც მან და მისმა დასმა ხელიდგან გამაგდებინეს საარაკო წინ დაუხედველობით. მე ისეთი სალი და მარდი არ ვარ, რომ ორ-სამს კურდღელს ვდიო ერთსა და იმავე დროსა.

იაკობ სიმონიძე

სურამი, 3 ოქტომბერსა 1894 წ.

თავის ზურგში დაურტყათ, „დედა აისწავლოს, როგორ უნდა სცემოს ხოლმე ჩემს ცხენებსაო“. იმისდა მიუხედავად, რომ ბევრმა ურჩია და ასწავლეს კიდეც ვისთვის უნდა მიემართა ვლასოვს საჩივლელად, მან ვერ გაჰბედა იურლოვისათვის ეჩივლა. „დედა, ღმერთმა ჰკითხოს, მე რას დავაკლებო... ერობის უფროსი თავადაზნაურთა წინამძღოლს ექვემდებარება, ბოლოსაულიც ჩემს ბატონში არ გამცვლის, მეც ადგილს დავკარგავ და ამის გარდა, იურლოვი ჩემს ნათესავებს ადგილ-მამულს წაართმევსო. მეტლე და მისი თანაშემწე, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ვლასოვის გაწკეპლაში, ხელს უწყობდნენ ვლასოვის ამგვარ მსჯელობასა. თვით ბ-ნი იურლოვი-კი, რომელმაც უმგზავსი და საზიზღარი ბატონობა ჩაიდინა, თითქოს არაფერს შეაშინაო, არხეინად დასეირნობს მთელს მაზრაში და უსირცხვილოდ უხსნის ყველას, რომ არ შეიძლება ბატონო, თუ ჭკუა არ ვასწავლეთ მაგ მეჯინიბეებსაო. სრულიადაც არა ვმალავ, რომ გავამათრახებინე ჩემი გლეხი, ამით კიდეც ვამაყობ. ვიცი რომ, ვინმე დაბეჭდავს რასმე, მაგრამ იმედი მაქვს, თავადაზნაურთა წინამძღოლობის ხარისხი ამ უსიამოვნებისაგან დამიხსნისო.“

## უცხოეთი

**ინგლისი.** რუსულ გაზეთის „Нов. Вр.“-ს პასუხად ინგლისის გაზეთი „Daily News“ სწერს, რომ უცხო სახელმწიფონი მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერივნენ კორეს საქმეში, თუ ყველამ ერთად გამოაცხადა ამის თანხმობა, ხოლო აქამდე ეს მორიგება ჯერ არ მომხდარაო..

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ უცხო სახელმწიფოთ გადასწყვიტეს, მხოლოდ მაშინ ჩავერიოთ კორეს საქმეში, თუ ჩინეთში მცხოვრებ უცხოელთა დაცვა დაგვჭირდაო. ეხლა იმის გამოა ლაპარაკი, რა ბრძანება უნდა მისცეს თითოეულმა სახელმწიფომ თავისს ესკადრის უფროსს, მაგრამ ეხლავე ცნობილია, რომ ყველა უფროსს ბრძანება მიეცემა ისე მოიქცეს, როგორც გარემოება მოითხოვს.

ის ხმა, ვითომ უცხოელ სახელმწიფოთ ეხლავე ჰსურთ ჩაერივნენ კორეს საქმეში და იაპონელები შეაჩერონო, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ტყუილია.

ინგლისის მთავრობამ მხოლოდ იმიტომ მიჰმართა დიდ სახელმწიფოთ და სთხოვა კორეს საქმეში ჩავერივნეთო, რომ უფლება მოეპოვებინა, ისე მოიქცეს ჩინეთის შესახებ, როგორც მოისურვებს. ხოლო რაც შეეხება კორეს, ინგლისი მზად არის შეიწყნაროს კორეს დაჭერა იაპონელთა მხრივ, მაგრამ იმ პირობითკი, რომ კორე არ დაისაკუთრონო.

—

გაზეთ „Times“-ის კორესპონდენტი ბრესტიდგანა სწერს, რომ ნავთსადგურის სამმართველოს ებრძანა, მომზადებული ჰქონდეს სამხედრო ხომალდები «Arethuse»-ი, „Eclaireur“-ი და „Tabet“-ი და სურსათის გემი „Magellan“-ი და თუ საჭიროება მოითხოვს, მაშინვე გზას გაუყენოს. მაგრამაო, დასძენს გაზეთი, მაინც არ შეგვიძლიან გადაჭრითა ვსთქვათ, რომ საფრანგეთის მთავრობა ემზადებოდეს ჩინეთში ჯარებისა და იარაღის გაგზავნასაო.

—

სეულში მყოფმა იტალიელების ელჩმა თავისს მთავრობისაგან ბრძანება მიიღო, რომ ჩინეთ-იაპონიის საქმეში სულ არ გაერიოთ. ამას გარდა იტალიელების მინისტრმა ძუნგ ლი-იამენს (პეკინში) მიჰმართა და თავის დ ხმარება აღუთქვა იაპონიასთან მორიგების საქმეში. იმანვე უარი შემოუთვალა პეკინის სადიპლომატიო კრებულს ჩინეთის მთავრობის იმ წინადადების გამო, რომლითაც ჩინეთი თხოულობდა, რომ უფლება იმ სახელმწიფოებისა, რომელნიც ჩვენს საქმეში არავითარს მონაწილეობას არ იღებენ, კორეს წყლებზედ გემების გამოყვანისა შეზღუდულ იქმნასო.

ძუნგ-ლი-იამენს ასეთი უარი მიუვიდა ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთისაგან.

## სასამართლოს მატიანე

—

8 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება განიხილავს ქალაქ გორში ელისაბედ ტერ-აკოფოვის მოტაცების საქმეს. ამ საქმეში ბრალდებულად ითვლებიან თავადი გიორგი ოთარის ძე ამილახვარი, თავ. დავით გიორგის ძე ერისთავი, აზნ. ნიკოლოზ ივანეს ძე გარსევანიშვილი და ხაზ. ლევანის ძე იპალოვი. ყველა ამათ ის ბრალი ედებათ, რომ პირველმა მათგანმა (გიორგი ამილახვარმა) მოინდომა რა ელისაბედ ტერ-აკოფოვის ცოლად შერთვა განიზრახა მისი მოტაცება 9 თიბათვეს 1894 წ.

თვ. გიორგი ამილახვარს იცავს პ. ა. ოპოჩინინი, დანარჩენთ ვექილი ვ. ნ. პახომოვი.

—

18 ოქტომბერს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო განიხილავს საქმეს თელავის მაზრის სოფ. ენისელის მცხოვრებლების მალხაზა გოგიას ძეს და ილია იორდანის ძის ტურაშვილებისას, რომლებსაც 1453 სასჯ. დებულებისა და 279 სამხედრო წესდების მუხლის ძალით იმ გვარ დამნაშავედ არიან ცნობილნი, რომ სამხედრო წესით უნდა იქმნენ განსამართლებულნი.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

სარა ბერნარმა ბოლოს ხანებში პარიზში, თავისს ერთ ოთახთაგანი უცნაურის ავეჯით მორთო. მაგალითად, ამ ოთახში სდგას სკამი, რომელიც არაფრით შესანიშნავი არ არის, მაგრამ ზედ რომ დაჯდებით, ვიღაც ჩაგკრავთ თავში. უეცრად წამოხტებით, შეჰხედავთ, სკამი უბრალო სკამია, დაჯდებით და ისევ თავში დაგარტყამთ ვიღაც. ეს სკამი არტისტ-ქალს უსიამოვნო სტუმართათვის აქვს დამზადებული. მეორე სკამი ისეთი თვისებისაა, რომ როგორც დაჯდებით, მისი სახელურები მოგეხვევათ და მაგრად ჩაგბოჭავთ. მომეტებულს უსიამოვნებას აყენებს მამსვლელს პატარა სკამი, რომელიც, როგორც ზედ დაჯდება ვინმე, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად მირს იწევს და ბოლოს იატაკამდე დავა. ასეთივეა ერგვალი მაგიდა, რომლის ზემოთა ფიცარი, როგორც ხელს მიატანთ ზედ დადგმულ ფინჯანს, უებად ან მარცხნივ მიტრიალდება, ან მარჯვნივ. ერთი საკარძელიც არის ამ ოთახში, რომლიდგანაც ვინც დაჯდება, უებად სრულიად მოულოდნელად, გაცხარებულ ლაპარაკის დროს, იატაკზედ მოიღებს ზღართანს.

## გამოსადეგი ცნობა

—

როგორ უნდა მომზადდეს თოკი, რომ არ დალპეს. თუ გსურთ, რომ თოკი დაცლპობისა და ან დანესტიანებას გადაარჩინოთ, უნდა კარგად გაჟღინთოთ საპნიანის წყლით, (ერთი ვედრა წყალში $2^1/_2$ გირვანქა საპონი უნდა გახსნათ). როდესაც კარგად გაიჟღინთება საპნიანს წყალში, რიგიანად უნდა გააშროთ და ჩვეულებრივად ძელზედ გაჭიმისათ. უფრო უკეთესს საშუალებად ითვლება შემდეგი: თოკი ჯერ გავატეთ შაბიამნიან წყალში (ერთი წილი შაბიამანი და 50 წილი წყალი) შემდეგ როცა კარგად გააშრობთ, თუნდა გაჭიმისეთ და თუნდა საპნიანს წყალში (როგორც ზემოთა ვთქვით) გაჟღინთეთ. ორსავე შემთხვევაში თოკი უფრო ბევრს ხანსა სძლებს, ვიდრე მაშინ, როდესაც უბრალოდ არას გაფისული.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით, დიდი მადლობა გამოუცხადოთ გურულ ქალების მხრივ ქალბატონს ბარბარე სულხანიშვილის ასულს, რომელმაც გაზ. „ივერიის“ მე-209 №-ში ასე კარგად გამოჰხატა საზოგადოდ ქალების აზრი ბატონ „ჩიორას“ საპასუხოდ. გურულ ქალების უმეტესმა ნაწილმა მთხოვეს, გადავსცე რედაქციას იმათი უგულითადესი სურვილი, რომ სულით და გულით განვუცხადოთ მადლობა იმ ადამიანს, რომელმაც შესამჩნევ გარკვეულად გამოსთქვა წერით ის, რასაც ყველა ქალი ჰგრძნობდა და ბევრმა განაცხადა კიდეც, როცა ვკითხულობდით ბატონ „ჩიორას“ მჭევრმეტყველებას გაზ. „ივერიის“ მე-193 №-ში *).

ელეონორა გურიელისა ერისთავის ქალი

1894 წ.

6 ოქტომბერი.

## დეპეშა

7 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ავადმყოფობის გამო 6 ოქტომბერს, 7 საათზე საღამოს: ხელმწიფე იმპერატორი ისევ იმ მდგომარეობაში ბრძანდება, ცვლილება არა ეტყობარა.

# განცხადებანი

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

*) გურული ქალები, როგორც ჰხედავთ, სრული თანხმანი არიან ქ-ნ ბარბარე სულხანიშვილის ასულის აზრისა. დავუცადოთ, ვნახოთ ჩვენის ქვეყნის სხვა ნაწილის ქალები რაღას იტყვიან და შემდეგ ვეცდებით ჩვენი პასუხი არ დავუგვიანოთ ქ-ნ სულხანიშვილის ასულს.

ჩიორა


РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ сочинения образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ ВЪ ГОДЪ 24 ТОМА (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:

1) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ

ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 Р. съ доставкой и пересылкой 4 Р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ

ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 Р. съ доставкой и пересылкой 4 Р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 5 сентября 1895 г.

Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ (цѣна 6 р., с доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв. Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ. Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ.

(8—8)



„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.